ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №8.11.6/10/104

ქ. თბილისი

22 ნოემბერი, 2019 წ.

ერთი მხრივ, **ქალაქ თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობა** (შემდგომში _ ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი **გამგებლის გაიოზ ვასაძის** სახით და **მეორე მხრივ, შპს ,,თემი"** (შემდგომში _ ,,მიმწოდებელი"), წარმოდგენილი **დირექტორის თეა ჯოხაძის** სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 შშმ ბავშვებისთვის საცირკო წარმოდგენის მომსახურების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის ,,ა" პუნქტის საშუალებით - CPV (92341000 - ცირკის მომსახურებები).

1.2 შესყიდვის ობიექტი

№	მომსახურების დასახელება	განზ. ერთეული	რ-ბა	ერთეულის ფასი	სულ
1	2019 წლის 22 დეკემბრის 17:00 სთ საცირკო წარმოდგენის დასასწრები ბილეთები	ცალი	334	10.00	3340.00
2	2019 წლის 22 დეკემბრის 17:00 სთ საცირკო წარმოდგენის დასასწრები ბილეთები	ცალი	60	15.00	900.00
	სულ:				4 240.00

2.ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **4 240.00 (ოთხი ათას ორას ორმოცი)** ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

3. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს წარმოდგენაზე დასასწრები ბილეთები ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში და შშმ ბავშვებისთვის საცირკო წარმოდგენის მომსახურების გაწევა უზრუნველყოს 2019 წლის 22 დეკემბერს.

4.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

4.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე შემსყიდველის მხრიდან უფლებამოსილი პირია - ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების უფროსი თენგიზ ფოფხაძე.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში.

5.2 ანგარიშსწორება განხორციელდება 2019 წლის გამგეობის ბიუჯეტის სახსრებით მომსახურების გაწევის და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

6.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი მხარე იტოვებს უფლებას მიმწოდებელს დააკისროს პასუხისმგებლობა ყველა შესაძლო შედეგზე და არ აუნაზღაუროს სახელშეკრულებო თანხა.

6.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ოდენობით

6.3 ვადის გადაცილებისთვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

7. ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

7.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება გაფორმებიდან 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა გადაიჭრება ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. სხვა პირობები

10.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა იყოს ქართულ ენაზე.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა დადგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

11. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

საბურთალოს რაიონის გამგეობა

ს/კ: 205303820

მის: ქ.თბილისი, მიცკევიჩის ქ. №29

მიმწოდებელი

შპს „თემი"

ს/კ: 400246934

მის: ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, გლდანის მასივი, VI მ/რ, კორპ. 27, ბ. 108

სს „თიბისი ბანკი"
TBCBGE22
GE93TB7007136080100005

გამგებელი

გაიოზ ვასაძე

დირექტორი

თეა ჯოხაძე

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

22 ნოემბერი, 2019 წ.

ვადასტურებ, რომ 2019 წლის 22 ნოემბრის №8.11.6/10/104 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებით ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები მიმწოდებელთან - შპს „თემი".

კულტურის, განათლების, სპორტისა და
ახალგაზრდობის განყოფილების უფროსი

თენგიზ ფოფხაძე